ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №726728

ნომერი: AR1136001

თარიღი : 03.06.2013

გაცემის თარიღი : 06.06.2013

გაცნობის თარიღი : 07.06.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 129 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჩახტაური პ/ნ 01011012854
- მთისძირის N43

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "გამა" კოდი: 208208198

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა "მოთხოვნის ტექსტში" დეტალურად განიმარტოს განსათავსებელი მოსაცდელის დანიშნულება, ვინაიდან სამსახურისთვის გაუგებარია მიწის ნაკვეთის შუაში განსათავსებელი მოსაცდელის ფუნქციური დანიშნულება.

მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხის დაზუსტების და სამსახურის მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტილების შემდგომ შესაძლებელი იქნება განაცხადის განმეორებით განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რომლის დროსაც დამატებით გასათვალისწინებელი და წარმოსადგენი იქნება იქნება შემდეგი:

1. კარგი ხარისხის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, როგორც ახლო ასევე შორი ხედებიდან გადაღებული, რომელიც შესაძლებელია აიტვირთოს ”არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“.
2. „ფოტომონტაჟ“-ს ველში აიტვირთოს განახლებულ არსებულ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.
3. გაურკვეველია თქვენი ირაკლი ჩახტაურის უფლებამოსილება, ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს „სპეცავტომეურნეობა“, რომლის დიტექტორსაც სამეწარმეო რეესტრის მიხედვით წარმოადგენს თამაზ გუჯაბიძე, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ ირაკლი ჩახტაურმა. საჭიროა „მინდობილობა/რწმუნებულების ველში“ აიტვირთოს თამაზ გუჯაბიძის მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა ან ახალი განცხადებით მოგვმართოს თამაზ გუჯაბიძემ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.